ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

დასკვნა:**დ03.37220771**
თარიღი:**18/03/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აღნიშნავს:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შედგენილია საბიუჯეტო კოდექსის 87-ე მუხლისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 4 მარტის N4 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. ზოგადად, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში და მასში მოცემული ინფორმაციული მასალა, რეალურად ასახავს მუნიციპალიტეტში 2021 წელს განხორციელებულ შიდასტრუქტურულ ცვლილებებს და ორგანიზაციული პრობლემების მოგვარების მიზნით შესრულებული ღონისძიებების თვისობრივ ცვლილებებს.

3. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე წლიური ანგარიში ძირითადად შესაბამისობაშია აღნიშნული დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგიასთან, კვლავ ფიქსირდება გარკვეული ხარვეზები, რომელთა დახვეწა მნიშვნელოვნად გასაგებს გახდის წლიურ ანგარიშს ამომრჩევლებისათვის. კერძოდ:

_ პროგრამების(ქვეპროგრამების) განხორციელების შუალედური, საბოლოო შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები ასახავს დამდგარი ფაქტობრივი შედეგების მხოლოდ რაოდენობრივ მაჩვენებელს(იშვიათად ხარისხობრივს), რაც გარკვეულწილად აძნელებს მათი ეფექტურობის დადგენის სოციალურ-ეკონომიკური და ზოგიერთ შემთხვევაში ორგანიზაციული პარამეტრების დადგენის შესაძლებლობებს.

_გეგმიური საბიუჯეტო შემოსავლების ისეთი მნიშვნელოვანი სახე, როგორიცაა „სხვა შემოსავლები“ შესრულებულია 87,8%-ით. რამდენიმე პოზიციის ჯამური ოდენობის მიხედვით, როგორიცაა მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მოსაკრებელი ტერიტორიის დასუფთავებისათვის, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი და სხვა, საბიუჯეტო შემოსავლების გეგმიურ მაჩვენებელს დააკლდა 355,0 ათასი ლარი.

_ საანგარიშო პერიოდში მერის სარეზერვო ფონდის გეგმიური ოდენობა განსაზრვრული იყო 350,0 ათასი ლარით, ფაქტობრივად დაიხარჯა 255 467 ლარი, მათ შორის სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების დასაფარავად 97 735 ლარი, მედიკამენტების შესაძენად დახმარების გაწევის მიზნით 88 507 ლარი; სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტების შესაძენად დახმარების მიზნით ჩარიცხული თანხები შეადგენს 36 095 ლარს, სარიტუალო ხარჯების მიზნით გაწეული დახმარებები 13 580 ლარს, სოციალური ღონისძიებების დასაფინანსებლად დახარჯულია 1626 ლარი, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სამშენებლო მასალების შეძენის მიზნით გაწეული დახმარება 17 924 ლარია. ამასთან ერთად სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვის ანალიზისას იკვეთება ის ფაქტობრივი გარემოება, რომ ამ ფონდის უდიდესი ნაწილი იხარჯება სოციალური მიმართულებით სხვადასხვა დახმარებების გაწევისათვის. სასურველია აღნიშნული გათვალიწინებული იქნას ბიუჯეტის შესაბამისი მუხლის დაგეგმვისას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის წლიური ანგარიში მთლიანობაში შედგენილია მოქმედი საბიუჯეტო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოთხოვნების შესაბამისად. გამოვლენილი ხარვეზები ძირითადად არაა არსებითი.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე